



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაშტიკიშვი”

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი სოფიო დვალიშვილი

ს. დვალიშვილი

“25” 07 “2018 წელი

N 49/36

ვგზ. N:1

საპარტველოს თავდაცვის სამინისტროს
აკარბის 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა.....	6
1.1 უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები.....	6
1.2.1 ბალანსზე რიცხული აქტივები.....	7
1.2.2 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	8
1.2.3 ინვენტარიზაციის შედეგების გაუთვალისწინებლობა.....	9
1.2.4 აქციები და კაპიტალი.....	10
1.2.5 აქტივების არასწორი კლასიფიკაცია	11
1.2.6 მოთხოვნები.....	13
1.2.7 ვალდებულებები.....	15
1.2.8 საცნობარო მუხლში აღურიცხველი აქტივები/ვალდებულებები.....	15
2. სხვა გარემოებები.....	17
2.1 შრომის ანაზღაურება	17
2.2 შიდა კონტროლის სისტემები.....	18
2.2.1 სააღრიცხვო პოლიტიკა.....	18
2.2.2 „შრომის ანაზღაურების“ მუხლით განაცემების გაწევისას გამოვლენილი შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებები	20
2.3 წარმომადგენლობითი ხარჯები.....	23
3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	25
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.....	26

ტერმინთა განმარტება

სამინისტრო - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი (პროგრამული კოდებით: 29 01; 29 02 04; 29 02 05; 29 03 02; 29 04 02; 29 05; 29 06; 29 08);

სსიპ - „დელტა“ – სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო - ტექნიკური ცენტრი „დელტა“;

ჯლუსი - ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ძირითადი ამოცანებია: საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა, საქართველოს შეიარაღებული ძალების მუდმივი მზადყოფნა საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად, შექმნილი სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ომის საშიშროების განსაზღვრა, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა სამხედრო უზრუნველყოფა, შეიარაღებული ძალების ოპერატიულ-სტრატეგიული მოწყობის განსაზღვრა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, სამხედრო თანამშრომლობის განხორციელება.

სქემა N1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურა



სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების¹ ბიუჯეტის შესრულების წილი სამინისტროს მთლიანის სისტემის ბიუჯეტის 91.6%-ს შეადგენს. დანარჩენი ნაწილი მოიცავს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ საბიუჯეტო სახსრების ათვისების მაჩვენებელს.

ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

¹ კოდები: 29 01; 29 02 04; 29 02 05; 29 03 02; 29 04 02; 29 05; 29 06; 29 08.

ცხრილი N1. სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების და ქვეპროგრამების შესრულება (ათას ლარებში)

პროგრამული კოდი / დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტ-ლი გეგმა	შესრულება	%- ული შესრულება
29 00 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	748,000.00	749,614.09	770,623.44	103
<i>მათ შორის, სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამები და ქვეპროგრამები:</i>	<i>693,611.00</i>	<i>685,868.09</i>	<i>706,123.54</i>	<i>103</i>
შრომის ანაზღაურება	343,290.00	335,189.28	335,180.65	100
საქონელი და მომსახურება	265,774.00	258,695.87	279,007.36	108
გრანტები	0	23.28	22.59	97
სოციალური უზრუნველყოფა	25,010.00	26,981.43	26,975.72	100
სხვა ხარჯები	20,000.00	17,182.92	17,175.25	100
არაფინანსური აქტივების ზრდა	39,537.00	47,166.44	47,133.10	100
ვალდებულებების კლება	0	628.87	628.87	100
სსიპ-ები, ა(ა)იპ	54,389.00	63,746.00	64,499.90	101

ზოგიერთ პროგრამაში² შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია მიზნობრივი გრანტებისა და პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვების ფარგლებში გახარჯული რესურსით, რომელთა ასახვა ხდება მხოლოდ ფაქტობრივად გაწეულ გადასახდელებში.

² პროგრამული კოდები: 29 01 (გრანტი-3,422.0 ათასი ლარი); 29 07 სსიპ - „დელტა“ (გრანტი -1,314.9 ათასი ლარი); 29 08 (პირდაპირი საინვესტიციო ჩარიცხვა - 21,079.5 ათასი ლარი).

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

1.1 უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს³, მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისთვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

არაფინანსური აქტივები

სამინისტროში არაფინანსური აქტივების აღრიცხვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პრობლემები და ნაკლოვანებებია, რაც გამოიხატება შემდეგში:

-)/ არაფინანსური აქტივების დიდი მოცულობა აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული;
-)/ ბალანსზე ირიცხება როგორც შენობა-ნაგებობის⁴, ასევე მიწის რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი⁵, რომელიც დაურეგისტრირებელია როგორც სახელმწიფო ქონება. ინვენტარიზაციის

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, დანართები 1 – 13.

⁴ საჯარო რეესტრში მთლიანად ან ნაწილობრივ დასარეგისტრირებელი სამხედრო ქალაქები/ობიექტები - დაახლოებით, 113 ერთეული.

⁵ საჯარო რეესტრში მთლიანად ან ნაწილობრივ დასარეგისტრირებელი სამხედრო ქალაქები/ობიექტები (მიწის რესურსი) - დაახლოებით, 115,700,055 კვ.მ.

მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ მიწის რესურსის დიდი ნაწილი წარმოდგენილია ღირებულების გარეშე⁶;

- J) სამინისტრო ფლობს გამოუყენებელ აქტივებს, რომელთა ღირებულებაც ნულის ტოლია ან ღირებულების გარეშეა წარმოდგენილი. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული;
- J) სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში 2017 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია როგორც ჩამოსაწერი ქონება, ასევე დანაკლისი, რომლის უდიდესი ნაწილი ღირებულების გარეშეა წარმოდგენილი.

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების მუხლის რეალური ღირებულების განსაზღვრა მასშტაბური შეუსაბამობის გამო შეუძლებელია, რასაც ადასტურებს ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები.

1.2.1 ბალანსზე რიცხული აქტივები

სამინისტროს ლოგისტიკის ცენტრიდან⁷ წარმოდგენილი ინფორმაციისა და 2017 წლის ინვენტარიზაციის შედეგების ანალიზის საფუძველზე, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბალანსზე რიცხული 468,734.0 ათასი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილი⁸ არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს⁹, კერძოდ:

1. ინვენტარიზაციის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში დაფიქსირებულია, რომ საბინაო ფონდის¹⁰ 95%¹¹ პრივატიზებულია (საცხოვრებელი ბინები, რომლებიც წლების მანძილზე საკუთრებაშია გადაცემული სამხედრო მოსამსახურეებისთვის), თუმცა დღემდე ირიცხება ბალანსზე. ჯალუსის აღმოსავლეთის ცენტრის მოწოდებული ინფორმაციიდან და შესაბამისი კორესპოდენციებიდან¹² ირკვევა, რომ პრივატიზებული, რეესტრში გატარებული და სამხედრო პირებისთვის საკუთრებაში გადაცემული საბინაო ფონდის საერთო ღირებულება შეადგენს 85.0 მლნ ლარს, ხოლო გასხვისებული საყაზარმე შენობების ღირებულება - 17.9 მლნ ლარს. ლოგისტიკის ცენტრის დასავლეთის რაიონებში, ბალანსზე რიცხული გასხვისებული და გადაცემული

⁶ მაგალითად, ლოგისტიკის ცენტრი დასავლეთის შემთხვევაში, შესაბამისად, 5,349,634.53 კვ.მ და 13,143,300.63 კვ.მ.

⁷ აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი.

⁸ ინფორმაცია დაუზუსტებელია, ვინაიდან თითოეული სამხედრო ქალაქი (ს/ქ) - სამხედრო ნაწილი (ს/ნ) მოიცავს 5-70 ობიექტს.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

¹⁰ სულ საბინაო ფონდი - 18,544 ერთეული. მათ შორის, პრივატიზებული - 13,282 ერთეული (ჯალუსიდან მოწოდებული ინფორმაცია-მიახლოებითი ციფრები).

¹¹ ლოგისტიკის ცენტრი - აღმოსავლეთი.

¹² 2016 წლის 10 ნოემბრის N4039 წერილი; 2017 წლის 6 იანვრის N33 წერილი.

ობიექტების (შენობა-ნაგებობების) ნაშთი დაახლოებით შეადგენს 125.9 მლნ ლარს¹³, ხოლო გასხვისებული მიწის ფართი - 7,474 ათას კვ.მ-ს.

სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასალებში დაფიქსირებულია, რომ სამინისტროს ბალანსზე რიცხული ყოფილი სამხედრო დანიშნულების ობიექტების (შენობა-ნაგებობების) გარკვეული ნაწილი წლების განმავლობაში გასხვისებულია სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებზე, დაკავებულია ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ.

2. აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის ღირებულება უცნობია, ვინაიდან სამინისტროს განმარტებით¹⁴: „ამიერკავკასიაში რუსეთის ფედერაციის ჯარებსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის ქონების გადმოცემის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ბალანსზე აყვანილია მთლიანი სამხედრო ქალაქებში არსებული შენობები ერთი მთლიანი თანხით და უცნობია ცალკეული უფლების ობიექტების ღირებულება, შესაბამისად, ობიექტების შეფასებისთვის საჭიროა გარკვეული რესურსი“.
3. სამინისტროს ბალანსზე ასევე ირიცხება მიწის ფართები, რომლის მნიშვნელოვან ნაწილზე სამინისტროს სარგებლობის უფლება რეგისტრირებული არ არის (სამინისტროს განმარტებით, ობიექტური მიზეზების გამო)¹⁵.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯალუსის დებულების თანახმად, სამინისტროს ფლობა-სარგებლობაში არსებული მიწის რესურსებისა და უძრავი ქონების, საბინაო ფონდების აღრიცხვას და კომპეტენციის ფარგლებში, მათ რაციონალურ გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს ინფრასტრუქტურის სამმართველოს უძრავი ქონების აღრიცხვის განყოფილება¹⁶. აღნიშნული დებულება ზოგადი ინფორმაციის შემცველია და პრობლემის მოსაგვარებლად, გადაწყვეტილების მიმღები რგოლი/პირი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული.

შესაბამისად, სამინისტროს ბალანსზე რიცხული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საწყისი და საბოლოო ნაშთები არსებითად არ შეესაბამება რეალობას.

1.2.2 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები კატეგორიების მიხედვით არ არის სწორად კლასიფიცირებული. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები ბალანსზე

¹³ მათ შორის, საცხოვრებელი შენობების - 11,433.7 ათას, არასაცხოვრებელი - 11,109.2 ათას და სხვა შენობა-ნაგებობები (კომუნიკაციები) - 3,423.9 ათას ლარს.

¹⁴ 2017 წლის 01 ივნისის საინფორმაციო ბარათი.

¹⁵ „ასაზომი და დასარეგისტრირებელი ფართების დიდი რაოდენობის, აგრეთვე აზომვითი სამუშაოების სიძვირის და ა.შ., თუმცა დღეის მდგომარეობით, მცირედი მასშტაბით ჯალუსის ძალებით, უწყვეტ რეჟიმში ხდება, სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების აზომვა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მოთხოვნა“.

¹⁶ „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 6 ივნისის N44 ბრძანება (2017 წლის 19 ივნისის მინისტრის N46 ბრძანებით - „ინფრასტრუქტურის სამსახური“).

რიცხული ძირითადი აქტივების საწყისი ღირებულებების შესახებ. შესაბამისად, ძირითად აქტივებზე (მათ შორის, შენობა-ნაგებობებზე) ცვეთის დარიცხვა წარმოებდა არასწორად. შედეგად, არასწორად დარიცხული ცვეთის თანხობრივი ეფექტის დადგენა შეუძლებელია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვერ შევძელით რწმუნების მიღება „არაფინანსური აქტივების“ საბალანსო ანგარიშის საწყისი და საბოლოო ნაშთების სისრულეზე, შეფასებასა და არსებობაზე.

1.2.3 ინვენტარიზაციის შედეგების გაუთვალისწინებლობა

„ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ თავდაცვის მინისტრის ბრძანების ¹⁷ თანახმად, ინვენტარიზაციის შედეგები უნდა ასახულიყო 2017 წლის ანგარიშგებაში, რაც სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა.

ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითებით დასტურდება, რომ ინვენტარიზაციის შედეგების ფინანსურ ანგარიშგებაში გაუთვალისწინებლობა უკავშირდება, ერთი მხრივ, ჩატარებული ინვენტარიზაციის ნაკლოვანებას, ხოლო მეორე მხრივ, სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებს/სამსახურებსა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელ პირებს შორის გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაჭიანურებას, კერძოდ:

ინვენტარიზაციის შემაჯამებელ ოქმებში აგრერირებული და რაოდენობრივი მონაცემები ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი არ არის. ამასთანავე, გარკვეულ შემთხვევებში მატერიალური ფასეულობები დაფიქსირებულია მხოლოდ რაოდენობრივად.

სამინისტროს ქვედანაყოფებში 2017 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, სხვა პრობლემებთან/ნაკლოვანებებთან ერთად გამოვლენილია მატერიალური ფასეულობების ჩამოწრასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც გასული წლებიდან მომდინარეობს.

ინვენტარიზაციის შემაჯამებელ ოქმებში დაფიქსირებული მაგალითები¹⁸:

- J) შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილი (დაახლოებით, 416 შენობა) სრულად ამორტიზებულია, კოროზირებულია და საჭიროა მათი ჩამოწრა. შენობების უმეტესობა აშენებულია 1880 – 1952 წლებში;
- J) გამოვლენილია დაზიანებული, ვადაგასული და შემდგომი გამოყენებისთვის უვარგისი სხვადასხვა სახის ქონება;

¹⁷ ბრძანება MOD 7 14 00000951, 30/11/2017.

¹⁸ მაგალითად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოგისტიკის ცენტრი - აღმოსავლეთი.

-)/ მატერიალური ქონების აღწერის შედეგად დაფიქსირებულია 2005 წლიდან რიცხული საწვავებისა და საპოხი სითხეების 274.5 ათასი ლარის დანაკლისი, რომელიც კომისიის ინფორმაციით, დღემდე ძიებაშია შინაგან საქმეთა სამინისტროში;
-)/ 2013 წელს საწყობში მომხდარი ხანძრის შედეგად განადგურებულია 42.0 ათას ლარზე მეტი ქონება. აღნიშნული საქმე დღემდე ძიებაშია სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში¹⁹;
-)/ სხვა დანაკლისებთან ერთად, გამოვლენილია 226.3 ათასი ლარის დანაკლისი, რომელზეც პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოქმედ და ყოფილ კონტრაქტორ ფირმებს (რაც საჭიროებს შემდგომ მოკვლევას);
-)/ საწყობში დღემდე ირიცხება 2013 წლის მიღება-ჩაბარების აქტებით, შესაბამისი ბრძანებების თანახმად გაცემული 42.1 ათასი ლარის 267 სასაჩუქრე მაჯის საათი (მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საათების მიმწოდებლის ²⁰ მიმართ აუდიტის პერიოდში ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება²¹, აუდიტის მიმდინარეობისას განხორციელდა დავალიანების ჩამოწერა) და სხვ.

ანალოგიური სიტუაციაა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოგისტიკის დასავლეთის და სამხრეთის ცენტრებში²² და სხვა დანაყოფებშიც. ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა მსგავს შემთხვევებშიც, ინვენტარიზაციის კომისიის მიერ დაფიქსირებულია, რომ მატერიალური ფასეულობები „საჭიროებს ჩამოწერას დადგენილი წესით“, „ქონების აღრიცხვიდან მოსახსნელად საჭიროა ზემდგომი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება“, თუმცა აღნიშნულის საფუძველზე გადაწყვეტილებები მიღებული არ არის. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად არ ასახავს სამინისტროს მატერიალური ფასეულობების მდგომარეობას.

1.2.4 აქციები და კაპიტალი

სამინისტროს ბალანსზე „აქციები და სხვა კაპიტალის“ N1520 ანგარიშზე, 2013 წლიდან ირიცხება 46,668.1 ათასი ლარი. აღნიშნული ნაშთი წარმოადგენს სამინისტროს მიერ შპს „თბილავიამშენისა“ და შპს „დემეტრე-96“-ის საწესდებო კაპიტალში განხორციელებულ შენატანებს²³ (შესაბამისად, 45,293.1 ათასი და 1,375.0 ათასი ლარი).

¹⁹ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ იდენტიფიცირებული აქტივების აღრიცხვაობის ან დანაკლისის გამოვლენის შემთხვევებში, შედეგები იგზავნება სამხედრო პოლიციაში შემდგომი მოკვლევის მიზნით. შესაბამისად, მეტობის ან ნაკლებობის გამოვლენისას, არ ხდება მათი ასახვა შესაბამის საანგარიშგებო წლის ანგარიშგებაში.

²⁰ შპს „თბილავიამშენი“.

²¹ აუდიტის მიმდინარეობისას დაიწყო აღნიშნული დავალიანების ჩამოწერის პროცედურები.

²² სამხრეთის ცენტრი მართვისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლიდან შეუერთდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ცენტრებს.

²³ 2010-2012 წლებში.

შპს „თბილავიამშენსა“ და შპს „დემეტრე-96“-თან, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 07 თებერვლის N1/1-44 და 14 თებერვლის N1/1-61 ბრძანებების შესაბამისად, შეწყვეტილია მხარეთა შორის გაფორმებული მართვის ხელშეკრულებები²⁴. შესაბამისად, 2013 წლიდან სამინისტროს შეუწყდა კონტროლის უფლება ზემოთ მითითებულ კომპანიებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „აქციები და სხვა კაპიტალის“ N1520 ანგარიშზე რიცხული ნაშთი არ აკმაყოფილებს აქტივების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმებს²⁵.

შედეგად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ნაშთი 46,668.1 ათასი ლარით გაზრდილი ოდენობით არის წარმოდგენილი.

1.2.5 აქტივების არასწორი კლასიფიკაცია

სააღრიცხვო პოლიტიკის სფეროში არსებული სისტემური პრობლემებისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით, ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგების მიმართულებით გატარებული ღონისძიებების შედეგად, 2017 წლის განმავლობაში რეკლასიფიკაციას დაექვემდებარა 38 მლნ ლარზე მეტი საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლზე არასწორად აღრიცხული აქტივი.

კერძოდ, დეპარტამენტის მიერ დანერგილი ე.წ. „რეპორტების“²⁶ (ქვედანაყოფებიდან მიღებული ინფორმაცია) სისტემამ დიდწილად განაპირობა წინა წლებში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებზე არასწორად მიკუთვნებული აქტივების გამოვლენა. შედეგად:

- ┌ მოკლევადიანი არაფინანსური აქტივები შემცირდა 4,893.3 ათასი ლარით;
- ┌ გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები გაიზარდა 3,992.7 ათასი ლარით;
- ┌ შენობა-ნაგებობები შემცირდა 353.4 ათასი ლარით;
- ┌ მანქანა-დანადგარები და ინვენტარი გაიზარდა 1,241.3 ათასი ლარით და ა.შ.

თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ არაფინანსური აქტივების სხვა მნიშვნელოვანი ნაწილი, კლასიფიკაციაში დაშვებული უზუსტობების გამო (რაც გავლენას ახდენს ხარჯებსა და კაპიტალზე), საჭიროებს რეკლასიფიკაციას შესაბამის მუხლებზე. კერძოდ:

- ┌ სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების „დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების“ N1622 ანგარიშზე ნაშთად ერიცხება 873,164.3 ათასი ლარი. მათ შორის, სამინისტროს აპარატს - 869,218.9 ათასი, ხოლო სსიპ-

²⁴ შესაბამისად, 2010 წლის 13 ოქტომბერს და 2010 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული მართვის ხელშეკრულებები.

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“; მუხლი 17, პუნქტი „ხ“; მუხლი 42, პუნქტი 71.

²⁶ გასული თვის ჭრილში განხორციელებული სამეურნეო ოპერაციები.

„დელტას“ - 3,945.4 ათასი ლარი. სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული თანხა უკავშირდება წლების მანძილზე რეალურად მიღებულ განუბაჟებელ საქონელს (ძირითადად 2007-2008 წლებში უცხოურ ვალუტაში არარეზიდენტი მიმწოდებლებისაგან შეძენილი) ²⁷, რომელიც სამხედრო და სპეციალური ტვირთების განუბაჟებლობის მოტივით აღირიცხებოდა მოთხოვნებში²⁸. რეკლასიფიკაციის შედეგად კი განხორციელდა მათი ასახვა „დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების“ ანგარიშზე. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო არ აწარმოებს რაიმე სახის პროდუქციას, კონსოლიდირებულ და სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ანგარიში არასწორად არის წარმოდგენილი. აღნიშნულის ნაცვლად, მისი ასახვა უნდა მომხდარიყო „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ N1627 ანგარიშზე;

ჟ) არასწორად არის აღრიცხული 55,068.4 ათასი ლარი „ნედლეული და მასალების“ N1621 ანგარიშზე, ნაცვლად „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ N1627 ანგარიშისა.

ზემოაღნიშნულ ანგარიშებთან დაკავშირებით („დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების“ N1622 და „ნედლეული და მასალების“ N1621), თავდაცვის სამინისტროს მიერ 2018 წლის 18 ივნისს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს წარედგინა 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების დაზუსტებული ვარიანტი შესაბამისი განმარტებით, სადაც გათვალისწინებულია აუდიტის ჯგუფის შენიშვნები.

ჟ) 2017 წელს სამინისტროს აპარატს სხვა ქვეყნების მთავრობებიდან, საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან და მის მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ებიდან მიღებული აქვს 10,466.5 ათასი ლარის სხვადასხვა დასახელების აქტივი, რაც ექვემდებარება ანგარიშგებაში ²⁹ გრანტის ფორმით ასახვას (ნაცვლად ანგარიშგებაში დაფიქსირებული 1,126.6 ათასი ლარისა). ასევე 660.6 ათასი ლარის სხვადასხვა დასახელების აქტივები ექვემდებარება „ნებაყოფლობითი ტრანსფერების“ ფორმით მიღებას (ნაცვლად ანგარიშგებაში დაფიქსირებული 10,000.5 ათასი ლარისა). შესაბამისად, შემოსავლებში „გრანტების“ მუხლი (საბალანსო ანგარიში N6300) წარმოდგენილია 9,339.9 ათასი ლარით შემცირებულად, ხოლო „სხვა შემოსავლების“ მუხლი (საბალანსო ანგარიში N6400) - გაზრდილად, იმავე ოდენობით.

შედეგად, სხვადასხვა მუხლებზე აქტივები აღრიცხულია არასწორად, რაც ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების სამართლიან და უტყუარ წარდგენას.

²⁷ აღნიშნულ საკითხს სწავლობდნენ სამართალდამცავი უწყებები.

²⁸ ვაზნები, პერფორირებული სისტემა, მძიმე-ტექნიკისა და საარტილერიო დანადგარი, მანძილმზომები.

²⁹ „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ - დანართი N5.

1.2.6 მოთხოვნები

სამინისტროს სისტემაში, 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მოთხოვნები³⁰ გაზრდილია 438,179 ათასი ლარიდან 550,537 ათას ლარამდე, მათ შორის, სამინისტროს აპარატში³¹ 425,919 ათასი ლარიდან 538,459 ათას ლარამდე (112,540 ათასი ლარით).

ცხრილი N2. ინფორმაცია ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანების შესახებ

		(ათას ლარებში)
<i>მოთხოვნები</i>	<i>31.12.2017</i>	<i>31.12.2016</i>
სულ სამინისტრო	550,537	438,179
მათ შორის: სამინისტროს აპარატი	538,459	425,919
დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	9,761	9,613
მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	8	8
საქ. და მომსახ. მიღებაზე წინასწარი გადახდებით	469,707	374,865
არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	50,052	32,472
არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	6,814	6,814
ანგ/ვალდებული პირების მიმართ ავანსად გაცემ. თანხებით	1,428	1,415
მოთხოვნები მივლინებებით	672	709
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	17	23

ცხრილი N3. დებიტორული დავალიანებები წარმოშობის წლების ჭრილში (ათას ლარებში)

	სულ	1997-2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	531,646	193,317	13,997	25,860	30,563	19,287	6,977	88	23,496	77,154	140,907

სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანებიდან, 193,317 ათასი ლარის დავალიანება (50%) მომდინარეობს 1997-2008 წლებიდან, საიდანაც 74% (142,549 ათასი ლარი) სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენასთან დაკავშირებული დავალიანებებია (სამინისტროს პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნულ დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით გასულ წლებში მასალები ამოღებულია პროკურატურის მიერ).

„მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ N1354 საბალანსო ანგარიშზე რიცხული 9,761 ათასი ლარის დავალიანებიდან, 59% მოდის შპს „გრინ გრუპზე“ (Green Group)³² - 5,742.6 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხები წარმოადგენს მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების

³⁰ „აქციები და სხვა კაპიტალის“ გარეშე.

³¹ იგულისხმება სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამები და ქვეპროგრამები ჯამურად.

³² გრიფით „საიდუმლო“ ხელშეკრულება N13/90-ს, 2013. სპეციალურ ძალებთან დაკავშირებული სხვადასხვა კურსების, კვალიფიკაციის ამაღლების და სხვა მომსახურების - სულ 5 ფაზა. დაჯარიმებულია 2016 წელს.

შეუსრულებლობით (საქონლის/მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის გამო) გადასახდელ საურავებს, რაზეც მიმდინარეობს სამართლებრივი დავა.

„ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით“ საბალანსო ანგარიშზე რიცხულმა დავალიანებამ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1,428 ათასი ლარი, საიდანაც 92.72% (1,324 ათასი ლარი) წარმოადგენს თავდაცვის ატაშეებისა და სამხედრო წარმომადგენლების დასაფინანსებლად გაცემულ თანხებს. აქედან, 1,235 ათასი ლარი წარმოშობილია 2010-2012 წლებში³³.

„მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ N1440 საბალანსო ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 6,814 ათასი ლარი, საიდანაც 6,780 (99.77%) ათასი ლარის დანაკლისი წარმოადგენს 2008 წლის ომის დროს განადგურებულ/დაკარგულ ქონებას, რაც გაზრდილი ოდენობით წარმოადგენს აღნიშნულ მუხლს.

ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, მატერიალური ფასეულობების უმეტესობა (მათ შორის, ძირითადი აქტივები) აღრიცხულია მხოლოდ რაოდენობრივად და შესაბამისად, ინვენტარიზაციის აქტებში გამოვლენილია რაოდენობრივი დანაკლისები, რომელთა ღირებულებითი ეფექტის დადგენა შეუძლებელია. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ იდენტიფიცირებული აქტივების აღურიცხველობის ან დანაკლისის გამოვლენის შემთხვევებში, შედეგები იგზავნება სამხედრო პოლიციაში შემდგომი მოკვლევის მიზნით. შესაბამისად, მეტობის ან ნაკლებობის გამოვლენისას, არ აისახება შესაბამის საანგარიშგებო წლის ანგარიშგებაში³⁴. შედეგად, „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ ბალანსზე რიცხული ნაშთი რეალობას არ შესაბამეობა.

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დახმარებით, წინა წელს ჩამოიწერა 24 დებიტორი ორგანიზაციის დავალიანებები, რომლებიც ლიკვიდირებულია, სამართალმემკვიდრეები აღარ ჰყავთ და რომელთა იდენტიფიცირებაც შეუძლებელია. აღნიშნულ ღონისძიებებს სამინისტრო ახორციელებს ეტაპობრივად. თუმცა, საჯარო რეესტრის წერილებიდან ³⁵ ირკვევა, რომ სამინისტროს მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უმეტეს ორგანიზაციებში დებიტორის იდენტიფიცირება შეუძლებელია.

³³ აღნიშნულ საქმეებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

³⁴ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, მუხლი 42, პუნქტი 56; მუხლი 43, პუნქტი 22.

³⁵ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 27 თებერვლის წერილი N99219.

1.2.7 ვალდებულებები

სამინისტროს სისტემაში, 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, კრედიტორული დავალიანება შემცირებულია 20,028 ათასი ლარიდან 17,727 ათას ლარამდე. მათ შორის, სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული დავალიანება 19,030 ათასი ლარიდან შემცირებულია 16,572 ათას ლარამდე.

ცხრილი N4. ინფორმაცია ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანების შესახებ

		(ათას ლარებში)
ვალდებულებები	31.12.2017	31.12.2016
სულ: სამინისტრო	17,727	20,028
მათ შორის: სამინისტროს აპარატი	16,572	19,030
საქონლისა და მომსახურების მოწოდებით	4,785	5,152
არაფინანსური აქტივების მოწოდებით	260	358
სხვა გადასახდელები (საშემოსავლო, სოციალ. და სხვ.)	13	744
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	11,491	12,719
მივლინებებით	23	57

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე რიცხული მთლიანი კრედიტორული დავალიანებიდან, 14,676 (89%) ათასი ლარის დავალიანება მომდინარეობს 1997-2010 წლებიდან, საიდანაც 11,491 ათასი ლარის დავალიანებები „შრომის ანაზღაურების“ მუხლით არის წარმოშობილი, აღნიშნული კატეგორიის დავალიანება სისტემური ხასიათისაა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის.

მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია სამინისტროში არ ჩატარებულა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობა, უტყუარობა და სიზუსტე ვერ დასტურდება.

1.2.8 საცნობარო მუხლში აღურიცხველი აქტივები/ვალდებულებები

სამინისტრო არ აწარმოებს ბალანსის საცნობარო მუხლში ამორტიზებული ძირითადი აქტივების აღრიცხვას, რომელიც საწყისი (ისტორიული) ღირებულებით ექვემდებარება აღნიშნული მუხლის N08 ანგარიშზე ასახვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოწერამდე³⁶.

საცნობარო მუხლის „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანების“ (N03) ანგარიშზე არ არის ასახული გადახდისუუნარო დებიტორების დავალიანებები³⁷ (შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე), რომელთა მიმართაც მათი ჩამოწერის მომენტიდან ხუთი წლის

³⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, მუხლი 110, პუნქტი 9.

³⁷ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, მუხლი 110, პუნქტი 4.

განმავლობაში სამინისტრო განახორციელებდა მათზე მეთვალყურეობას, დავალიანებების შესაძლო ამოღების მიზნით.

ბალანსის საცნობარო მუხლის „პირობითი მოთხოვნების“ (N05) ანგარიშზე არ არის აღრიცხული 2017 წელს განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმესთან დაკავშირებული მოთხოვნები (სულ: 13,107 ათასი ლარი, 2,435 ათასი დოლარი, 247 ათასი ევრო, ხოლო საცნობარო მუხლის „პირობითი ვალდებულებების“ (N06) ანგარიშზე არ არის აღრიცხული 2017 წელს განხილვის სტადიაში მყოფ სასამართლო საქმესთან დაკავშირებული ვალდებულებები (სულ: 12,611 ათასი ლარი)³⁸.

ზემოთ განხილული მასშტაბური შეუსაბამოების შესაძლო გავლენის ეფექტის დადგენის შეუძლებლობის გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება აღრიცხული არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების სისრულეზე, წარმოშობაზე, არსებობაზე, შეფასებაზე, წარდგენასა და ახსნა - განმარტებებზე.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ სამინისტროსგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

³⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 110, პუნქტები: 6 და 7.

2. სხვა გარემოებები

2.1 შრომის ანაზღაურება

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით დაზუსტებული ბიუჯეტი დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით შემცირებულია 11,208 ათასი ლარით.

ცხრილი N5. „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები

პროგრამული კოდი / დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	(ათას ლარებში)
			+ზრდა/- შემცირება
29 00 თავდაცვის სამინისტრო. მ. შ.:	378,895	367,687	-11,208
29 01 თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები	318,642	312,942	-5,700
29 02 წვრთნა და სამხედრო განათლება	35,507	32,369	-3,138
29 03 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,471	4,144	-327
29 04 მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები	999.0	549.0	-450
29 06 საერთაშორისო ოპერაციები	728	664	-64
29 07 სამხედრო მრეწველობის განვითარება	18,548	17,020	-1,528

ცხრილი N6. „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების დინამიკა წლების მიხედვით (ათას ლარებში)³⁹

დასახელება	2017	2016	2015
შრომის ანაზღაურება	335,180	376,295	381,012
თანამდებობრივი სარგო	37,921	52,035	54,812
წოდებრივი სარგო	223,039	234,848	242,870
პრემია	1,042	8,047	5,073
დანამატი	67,597	75,149	71,887
კომპენსაცია	5,580	6,217	6,370

როგორც ცხრილიდან ჩანს, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების დინამიკაში შეინიშნება კლების ტენდენცია.

2017 წელს „დანამატის“ ქვემუხლით გაწეული 67,597 ათასი ლარის საკასო ხარჯიდან, 1,095 ათასი ლარი დარიცხულია უფლებამოსილი პირის ბრძანებების შესაბამისად, რაც დასაბუთებულია მიმღები პირის ზეგანაკვეთური მუშაობით, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე დადასტურდა ერთი ბრძანების⁴⁰ საფუძველზე მთელი წლის განმავლობაში

³⁹ იგულისხმება მხოლოდ სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები.

⁴⁰ ბრძანებები: N1175, 20.04.2017; N187, 18.01.2017; N188, 18.01.2017; N186, 18.01.2017.

დანამატის დანიშვნის ფაქტები ⁴¹ 84 მოსამსახურეზე. დანარჩენი 66,502 ათასი ლარი, მოსამსახურეებისთვის კანონით მინიჭებული დანამატებია ⁴². შესაბამისად, 1,095 ათასი ლარის შემთხვევაში, დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან კონკრეტული ბრძანებები ზოგადია და მიუხედავად მისი შესაძლო ობიექტური საფუძვლებისა, მოკლებულია შესაბამის დასაბუთებას.

2.2 შიდა კონტროლის სისტემები

2.2.1 სააღრიცხვო პოლიტიკა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სხვადასხვა პროგრამისა და ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებსა და ტრანზაქციებს, რომელსაც სამინისტრო ახორციელებს საქართველოს შვიდ სხვადასხვა ქალაქში განთავსებული 28 სტრუქტურული ქვედანაყოფის მეშვეობით. აქედან, მხოლოდ სამი ქვედანაყოფი იყენებს სპეციალიზებულ საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამას - ორისს ⁴³, მიზეზად სახელდება ქვედანაყოფებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა/არარსებობა.

სამხედრო ქვედანაყოფებში არსებული საბუღალტრო-საფინანსო სამსახურები, რომელთა საქმიანობის შედეგები პირდაპირ აისახება ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ნებისმიერ ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, უნდა ხელმძღვანელობდნენ და მონაწილეობდნენ სამინისტროს მიერ განსაზღვრული ერთიანი წესით და მიდგომებით - ბიუჯეტის კოორდინირების, დაგეგმვის, აღრიცხვის წარმოების, ხარჯებისა და შემოსავლების ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის კონტროლის საკითხებთან მიმართებაში ⁴⁴. სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის საბუღალტრო სამსახურები ანგარიშვალდებულნი არიან ფინანსური მართვის დეპარტამენტის წინაშე, თუმცა, ექვემდებარებიან შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელებს, რაც ამცირებს ქვედანაყოფების საბუღალტრო სამსახურებსა და სამინისტროს ფინანსური მართვის დეპარტამენტს შორის კოორდინაციისა და საბუღალტრო აღრიცხვის გამართული სისტემის დროულად განხორციელების შესაძლებლობას.

⁴¹ ერთჯერადად დარიცხული დანამატის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს - 5,680 ლარს. მინიმალური - 40 ლარს.

⁴² საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის N560 ბრძანება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“. (სამოქალაქო პირებს საჯარო მოხელის საკლასო ჩინისათვის, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირებს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მუშაობენ საიდუმლო დოკუმენტებთან და ა.შ.).

⁴³ რვა ქვედანაყოფი იყენებს ძირითადად ხელფასებისა და მივლინებების აღრიცხვის მიზნით, რვას - აქვს და არ იყენებს, ხოლო შვიდი ქვედანაყოფი საერთოდ არ აქვს.

⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N133 დადგენილებით დამტკიცებული „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 2, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „თ“.

სამინისტროში ფინანსური აღრიცხვის სისტემური პრობლემების და ხარვეზების არსებობა უკავშირდება შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფების მასშტაბურობას და სპეციფიკურობას, სამინისტროს სტრუქტურებს შორის კოორდინაციის ნაკლებობასა და გადაწყვეტილების მიმღები რგოლის არარსებობას.

აუდიტის პერიოდში, ფინანსების მართვის დეპარტამენტი არ ფლობდა ინფორმაციას შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდისთვის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების საბუღალტრო ნაშთების შესახებ. ბუღალტრულ პროგრამაში სრულყოფილად არ არის შევსებული შესაბამისი ველები, რათა თითოეული ტრანზაქციის დასახელება და შინაარსი იძლეოდეს მაქსიმალურ ინფორმაციას შესაბამისი ბუღალტრული გატარების შესახებ.

შესაბამისად, სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მთავარ ამოცანებს:

1. ორგანიზაციის სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის ჩამოყალიბებას.
2. ქონებისა და მისი მოძრაობის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა კონტროლის უზრუნველყოფას.
3. ბუღალტრული ანგარიშების ბრუნვებისა და ნაშთების ყოველთვიურად გამოყვანას, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესაბამისობას ყოველი თვის პირველი რიცხვისათვის⁴⁵.

სამინისტროს ხელმძღვანელობამ, სააღრიცხვო პოლიტიკის სფეროში დამკვიდრებული სისტემური პრობლემებისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით:

- J 2016 წელს დაიწყო სამინისტროს მასშტაბით ყველა ქვედანაყოფში ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურის შექმნა;
- J ფინანსების მართვის დეპარტამენტის ინიცირებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შეიქმნა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის პროგრამა. საწყის ეტაპზე პროგრამაში აღირიცხება „ავეჯი“ და „ტექნიკა“. აღნიშნულ პროგრამაში შესაძლებელი იქნება როგორც მატერიალური ფასეულობების მოძრაობის/ნაშთის კონტროლი, ასევე სტრუქტურულ ერთეულებს შორის განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შემთხვევაში სასაქონლო ზედდებულის ბეჭდვა და ლოგისტიკური მხარის მოქნილი აღრიცხვა/კონტროლისთვის სხვა ფუნქციების განხორციელება. აღნიშნულ პროგრამაში

⁴⁵ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება. მუხლი 4, პირველი და მე-2 პუნქტი; მუხლი 6.

სატესტო რეჟიმში მუშაობს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა, სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი და სპეციალური ოპერაციების ძალების ქვედანაყოფები.

2.2.2 „შრომის ანაზღაურების“ მუხლით განაცემების გაწევისას გამოვლენილი შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებები

სამინისტროში დასაქმებულ მოსამსახურეებზე, 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფულადი სახსრების⁴⁶ ანალიზისას გამოიკვეთა მაღალი რისკის შემცველი გარემოებები. კერძოდ: შესაბამისი აუდიტორული პროცედურებით⁴⁷ დადგინდა, რომ ყოფილი თანამშრომლების საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით, მათი გათავისუფლების შემდგომ თვეებში ხდებოდა საბანკო ანგარიშებზე (რომლებიც მანამდე ამ პირების მიმართ არ გამოიყენებოდა) ხელფასის დარიცხვა⁴⁸. 2017 წელს ამ მიზნით საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხულმა თანხამ შეადგინა, სავარაუდოდ, 140,543.63 ლარი⁴⁹. ზემოაღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით, აუდიტის მიმდინარეობისას⁵⁰ ეცნობა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკები იმისა, რომ შესაბამისი შიდა კონტროლის არარსებობის პირობებში, ფულადი განაცემები მიმართული იყოს იმ პირებზე, რომლებიც შესაბამის პერიოდში არ იყვნენ სამინისტროს სისტემაში დასაქმებული თანამშრომლები.

აღნიშნულის ხელშემწყობი ფაქტორები შესაძლოა იყოს შემდეგი გარემოებები:

-)/ ფულადი განაცემების დაანგარიშებისა და გაცემის პროცესთან დაკავშირებით არ ხდება რისკების იდენტიფიცირება და შეფასება;
-)/ შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში არ არის გათვალისწინებული მექანიზმი, სადაც შესაძლებელი იქნება გათავისუფლებული მოსამსახურეების მონაცემების დეაქტივირება;
-)/ დარიცხვის უწყისებში ხდება არასწორი მონაცემების შეტანა⁵¹;
-)/ არასაკმარისია/არაადეკვატურია კონტროლი დარიცხვის უწყისების გადამოწმებაზე - მონიტორინგის მექანიზმის არარსებობა;
-)/ მოვალეობები სათანადოდ არ არის გადანაწილებული (სუსტი ინსტრუქციები).

⁴⁶ 2017 წელს გადარიცხულ საგადახდო მოთხოვნებზე დაყრდნობით - ხაზინის დეტალური ინფორმაცია.

⁴⁷ მონაცემთა ბაზების ანალიზით.

⁴⁸ შესაბამისი სამსახურის მიერ წარმოდგენილი თანამშრომელთა გათავისუფლების ბრძანებები.

⁴⁹ ასევე შესაბამისი პროცედურების ჩატარების შედეგად 2016 წელს, 2017 წლის ანალოგიურად, არამიზნობრივად დაიხარჯა, სავარაუდოდ, 69,752.76 ლარი, ხოლო 2018 წლის იანვარ - თებერვალში - 19,311.60 ლარი (სულ, სავარაუდოდ, 229,607.99 ლარი).

⁵⁰ 27.03.2018, N02966/17.

⁵¹ უწყისების გადამოწმებას ვერ ახორციელებენ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები: სარდალი, ბრიგადის მეთაურები, საფინანსო სამსახურების და ფინანსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელები.


„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯი, სამინისტროს აპარატის მთლიანი ხარჯის 60%-ს შეადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადეკვატური და ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების არსებობა, რათა მინიმუმამდე შემცირდეს თაღლითობისა და ადამიანური შეცდომის რისკები.

სამინისტროში ფულადი განაცემების დარიცხვისა და გადარიცხვის პროცესი ხორციელდება ცენტრალიზებულად და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. პროცესის აღსრულებაში ძირითადად ჩართული არიან შემდეგი სუბიექტები:

1. სტრუქტურული ქვედანაყოფების საფინანსო სამსახურები (21 ერთეული).
2. საკადრო სამსახურები⁵².
3. ფინანსების მართვის დეპარტამენტი.

ქვემოთ მოცემულია სქემა, რომელიც ასახავს სამინისტროს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული განაცემების დაანგარიშების და გაცემის პროცესს.

სქემა N2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფულადი განაცემების დაანგარიშების და გაცემის პროცესი



⁵² გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი, ქვედანაყოფების G-1, S-1 სამსახურები.

ვინაიდან თაღლითობის მაღალი რისკის შემცველი სქემის განხორციელება უკავშირდება უკვე გათავისუფლებული თანამშრომლების საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებას, სუსტი რგოლი სწორედ „ქვედანაყოფის მოსამსახურეების ნუსხის შედარება საფინანსო და საკადრო სამსახურებს შორის“ პროცესში იკვეთება. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ქვედანაყოფების ფინანსისტებისაგან Eflow-ს საშუალებით ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ მიღებულ წერილებზე, ქვედანაყოფების საკადრო სამსახურის დასტურიც მოითხოვება, რაც ყველა შემთხვევაში დადასტურებული არ არის⁵³. ამასთანავე, სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტს ქვედანაყოფებიდან თანამშრომელთა გათავისუფლების ბრძანებები არ მიეწოდებოდა, შესაბამისად, სამინისტროს (ფინანსების მართვის დეპარტამენტის, როგორც ზედა რგოლის) მიერ ვერ ხორციელდება აღნიშნულ პროცესზე ადეკვატური კონტროლი.

გარდა ზემოთ აღწერილი გარემოებისა, საანგარიშგებო პერიოდში, შრომის ანაზღაურების დარიცხვის პროცესში დაშვებულ იქნა ადამიანური შეცდომებით გამოწვეული უზუსტობები. ზედმეტად/ნაკლებად (შეცდომით) გადახდილი თანხები უკავშირდება სამინისტროს სისტემაში წელთა ნამსახურების არასწორ დათვლას, შეცდომით ფულადი განაცემის სხვა თანამშრომლის ანგარიშზე ჩარიცხვას, წინასწარ სარგოების სრულად დარიცხვას და სხვ.⁵⁴

სამინისტროს ქვედანაყოფებში (სამოქალაქო ოფისის გარდა) „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან ზედმეტად/ნაკლებად ჩარიცხული თანხების შემთხვევაში არ ხდება მათი ბუღალტრულად ასახვა. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, თანამშრომლებზე შეცდომით (ზედმეტად/ნაკლებად) ჩარიცხული თანხების შემთხვევაში, ხარვეზის გამოსწორება ხდებოდა ბუღალტრული გატარების გარეშე.

სამინისტროში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, 237 შემთხვევაში⁵⁵ მოხდა სამინისტროს მოსამსახურის კუთვნილი ფულადი განაცემების მინდობილობის საფუძველზე სხვა პირებზე (მინდობილ პირებზე) თანხების გაცემა. გაცემული მინდობილობები სხვადასხვა მოსამსახურის შემთხვევაში არის როგორც ვადიანი, ასევე უვადო/განუსაზღვრელი ვადით. დაფიქსირდა მინდობილობის ვადის გასვლის შემდგომ თანხების გადარიცხვის ფაქტები, ანუ, არაუფლებამოსილ პირებზე⁵⁶ განხორციელებული ტრანზაქციები. ასევე დაფიქსირდა მინდობილობის გარეშე თანხების გადარიცხვის ფაქტები სხვა პირებზე. არსებული წესების თანახმად, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით თანხების ანაზღაურება ხორციელდება მხოლოდ მოქმედ მოსამსახურეებზე⁵⁷. შესაბამისად,

⁵³ თუმცა, ზემოაღნიშნულ არაუფლებამოსილ პირებზე გადარიცხული თანხების შემთხვევებში, საფინანსო და საკადრო სამსახურებს შორის დადასტურება ხდებოდა ფორმალურად.

⁵⁴ მსგავს ხარვეზებზე დაფიქსირებულია შიდა აუდიტის ანგარიშშიც.

⁵⁵ აუდიტის მიმდინარეობისას - 2018 წლის აპრილში შემცირებულია 133-მდე.

⁵⁶ 4 შემთხვევა.

⁵⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება.

მინდობილობების საფუძველზე აღნიშნული მუხლით გაწეული გადარიცხვები მაღალი რისკის შემცველია და არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად.


ზემოაღნიშნული რისკების რეალიზების თავიდან აცილების მიზნით, აუდიტის მიმდინარეობისას, სააღრიცხვო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად, სამინისტროს მიერ გამოიცა ბრძანება⁵⁸, ასევე შემუშავების ბოლო სტადიაშია ინსტრუქცია⁵⁹, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი პრევენციული კონტროლის ღონისძიებები.

2.3 წარმომადგენლობითი ხარჯები

წარმომადგენლობითი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

„საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულებით, საბიუჯეტო ორგანიზაციებს 2015 წლიდან გასაწევ ხარჯებთან მიმართებაში დაუწესდათ გარკვეული სახის შეზღუდვები, 2014 საბიუჯეტო წელთან შედარებით. მათ შორის, ორგანიზაციის მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 20%-ით. სამინისტროს მიერ წლების მიხედვით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების დინამიკა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე:

დიაგრამა N2. სამინისტროს მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების დინამიკა (ათას ლარებში)



2014 წელთან შედარებით, 2015 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის მიხედვით, კლების ტენდენცია ფიქსირდება (მხოლოდ 9.43%-ით), თუმცა 2016-2017 წლებში, წინა წლებთან მიმართებაში ზრდის ტენდენციის მაჩვენებელმა შეადგინა, შესაბამისად, 25.26% და 43.55%, ხოლო 2017 წელს - 2014 წელთან შედარებით – 62.84%. 2017 წელს წარმომადგენლობითი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად,

⁵⁸ MOD 9 18 00000298 20/04/2018.

⁵⁹ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის მუხლებით გასაწევ ხარჯებთან დაკავშირებული წესები და რეგულაციები.

სულ გაწეულია **2,739.4** ათასი ლარის საკასო ხარჯი. აქედან, **1,384.3** ათასი ლარის (51%) მომსახურება გაწეულია შპს „ეი ბი სი - სერვისის“⁶⁰ მიერ.

წარმომადგენლობითი მომსახურების შესყიდვის მიზნით, სამინისტროსა და შპს „ეი ბი სი-სერვისის“ შორის 2017 წლის 28 თებერვალს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულების⁶¹ საერთო ღირებულება შეადგენდა 200.0 ათას ლარს. ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას, 2017 წლის 01 მარტიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე განეხორციელებინა სტუმრების საზოგადოებრივი კვების ობიექტებით მომსახურება. გაწეული მომსახურების საფასური მოიცავდა კონკრეტულ შემთხვევაში, კვების ობიექტისგან გაწეული მომსახურების საფასურის არა უმეტეს **7%-ს**. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, 10 მაისის ჩათვლით გაწეულია 199.9 ათასი ლარის მომსახურება (სახელშეკრულებო ღირებულების თითქმის 100%).

გარდა აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურებისა, შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე (ხელშეკრულებების გარეშე) შპს „ეი ბი სი-სერვისის“ მიერ (როგორც შუამავალი კომპანიის) წარმომადგენლობითი ღონისძიებებისათვის გაწეულია 1,184.4 ათასი ლარის მომსახურება. თუმცა, ამ შემთხვევებში გაწეული მომსახურების საფასური მერყეობს **10%-35%-ის** ფარგლებში.

სამინისტროს მიერ არ არის დასაბუთებული და საკმარისად გამჭვირვალე შუამავალ კომპანიებთან როგორც სახელშეკრულებო, ასევე ხელშეკრულების გარეშე ურთიერთობა და მისთვის საშუამავლო მომსახურებაში გადახდილი თანხების (აღნიშნული თანხები მზარდია) რაციონალურობა და აუცილებლობა იმ პირობებში, როდესაც სამინისტროს ჰყავს პროტოკოლის სამსახური, რომლის მოვალეობაა/ფუნქციაა შესაბამისი ღონისძიებების მომზადება.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს განმარტებით, სამსახურის მცირე რესურსის გამო ყოველდღიურად ვერ მზადდება საჭირო რაოდენობის ღონისძიებები, მნიშვნელოვანია ხარჯეფექტიანობის ანალიზით კომპანიისთვის გადახდილი თანხებისა და შესაბამისი სამსახურის გაძლიერებისთვის საჭირო რესურსების გაანგარიშება და ამ მიმართულებით ხარჯების რაციონალიზაცია.

საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან⁶² გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მიმწოდებლის გამოცდილებაზე. ასევე მიზანშეწონილია, ღირებულებიდან

⁶⁰ (ს/კ 400195962) კომპანია რეგისტრირებულია 2017 წლის 6 თებერვალს.

⁶¹ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N121, 28.02.2017 (უცხოელი ან/და ადგილობრივი სტუმრების საზოგადოებრივი კვების ობიექტებით მომსახურება).

⁶² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2.

გამომდინარე, შესყიდვა განხორციელდეს ტენდერის საშუალებით, რაც სავარაუდოდ, შეამცირებდა არაეკონომიური ხარჯვის რისკს.

3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაზე, რაც აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებზეც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ხელმოწერა

მანანა დავითური
მთავარი აუდიტორი

მ. დავითური

თამარ ბარბაქაძე
აუდიტორ-ასისტენტი

თ. ბარბაქაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE